



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

27 დეკემბერი 2024



N 746/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში შპს „ნოვა ფიქსის“ პლასტიკური მასალისა და ნარჩენების აღდგენის საწარმოს ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „ნოვა ფიქსის“ მიერ (საიდენტიფიკაციო კოდი: 445610385) სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. თბილისში პლასტიკური მასალისა და ნარჩენების აღდგენის საწარმოს ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის (ბრძანება N405/ს; 05/08/2024) შექმნა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. გზშ-ის ანგარიში მომზადებულია - შპს „გარემოსდაცვითი მომსახურების კომპანიის“ მიერ.

2023 წლის 24 ოქტომბერს შპს „ნოვა ფიქსის“ პლასტიკური მასალისა და ნარჩენების აღდგენის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაცა სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება N580/ს), რომლის საფუძველზე საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

2024 წლის 12 აპრილს შპს „ნოვა ფიქსის“ მიერ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ქ. თბილისში პლასტიკური მასალისა და ნარჩენების აღდგენის საწარმოს ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (ბრძანება N290/ს; 07/06/2024, სკოპინგის დასკვნა N33).

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილი N21/10848), შპს „ნოვა ფიქსის“ მიერ, 2024 წლის 3 და 5 დეკემბერს წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია (წერილი N11494 და N11584) კერძოდ, დაზუსტდა: ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა შესახებ ინფორმაცია, ამასთანავე, წარმოდგენილ იქნა ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენებული ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხოების პასპორტები (MSDS). აგრეთვე, დაზუსტდა საწარმოში იზოლუტანისთვის (თხევადი გაზი) გათვალისწინებული მიწისქვეშა რეზერვუარების, ასევე ცემენტის სილოსის რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. წარმოდგენილ იქნა გაფრქვევის წყაროებზე თვითმონიტორინგის, მათ შორის, ინსტრუმენტული მეთოდით თვითმონიტორინგს დაქვემდებარებული ნივთიერებების, ასევე პლასტიკური მასალის წარმოების და ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური ციკლის ტემპერატურული

რეჟიმების შესახებ ინფორმაცია. ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასების თვალსაზრისით, წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია წარმოების პროცესში (როგორც პლასტიკური მასალების წარმოება/აღდგენის, ისე წებო-ცემენტის წარმოებისას) გამოყენებულ ლენტურ ტრანსპორტიორებზე, ასევე, წებო-ცემენტის მიქსერში დანამატების ხელით ჩატვირთვის უბნის აღწერა/დახასიათების შესახებ. აგრეთვე, დაზუსტდა წებო-ცემენტის საწარმოო ხაზის ფუნქციონირებით გამოწვეული ხმაურის მაქსიმალური დონის შესახებ ინფორმაცია. ამასთან, წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია ზონირებასთან და მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესახებ, თხევადი ნივთიერებების საცავის განთავსების მიზნით. ზემოაღნიშნული საკითხები განხილულ იქნა საექსპერტო კომისიის მიერ (ბრძანება N685/ს 11/12/2024), დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით 2024 წლის 30 მაისს განხორციელდა ქ. თბილისში, დ. გურამიშვილის გამზირი №188-ში მდებარე, შპს „ნოვა ფიქსის“ საწარმოო ობიექტის ინსპექტირება. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ საწარმოში განთავსებულია წებო-ცემენტის და პოლისტიროლის ფილების წარმოებისათვის საჭირო ნედლეული - პირველადი პოლისტიროლი, შესაფუთი მასალა-პოლიეთილენის პარკი, პალეტები და წებო-ცემენტის წარმოებისათვის საჭირო დანამატები. ასევე, დადგინდა, რომ საწარმოში დამონტაჟებულია ტექნოლოგიური პროცესისათვის საჭირო ყველა დანადგარი და საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია შპს „ნოვა ფიქსის“ მიერ წარმოებული წებო-ცემენტი და წნეხილი პოლისტიროლის ფილები. შესაბამისად, დადგინდა, რომ შპს "ნოვა ფიქსი" გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრულ საქმიანობას ახორციელებდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე, აღნიშნულიდან გამომდინარე, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში, შპს "ნოვა ფიქსის" მიმართ, დაწყებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევის ფაქტზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „ნოვა ფიქსის“ პლასტიკური მასალისა და ნარჩენების აღდგენის საწარმო მდებარეობს ქ. თბილისში, დავით გურამიშვილის N188-ში, 8 829 მ² ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.12.01.003.288). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). საპროექტო ტერიტორიაზე (ს/კ: 01.12.01.003.288), ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (N6158195; 11.10.2022) საწარმოსთვის საჭირო თხევადი ნივთიერებების საცავის განთავსების მიზნით. ტერიტორია ასევე, ექცევა ამერიკის საელჩოს 2000 მ-იან შეზღუდვის ზონაში. აღნიშნულთან დაკავშირებით, შპს „ნოვა ფიქსმა“ მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს. წარმოდგენილი ინფორმაციით, საელჩო არ არის წინააღმდეგი განსაზღვრული მიზნით საკუთრების (ს/კ: 01.12.01.003.288) შემდგომ განვითარებაზე, მოქმედი რეგულაციების დაცვით.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X- 483022, Y-4625873; X-483073, Y-4625844; X-483017, Y-4625743; X-483004, Y-4625681; X-482978, Y-4625687; X-482994, Y-4625824. საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვართან მდებარეობს შპს „ნამის“ (ს/კ: 01.12.01.003.134) სარკის

მწარმოებელი საწარმო, 35 მეტრში შპს „თორნიკეს“ (ს/კ: 01.12.01.003.023) საწყობი (იმპორტირებული განათებები), ხოლო 100 მეტრში შპს „ტოპ მოტორსის“ (ს/კ: 01.11.19.002.007) სამშენებლო მასალების საწყობი. საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან 300 მეტრში მდებარეობს შპს „ალთენის“ (ს/კ: 01.12.01.003.107) გაზგასამართი სადგური და ავტო-სამრეცხაო. საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან 190 მეტრში მდებარეობს (ს/კ: 01.11.04.029.002) ავტოგასამართი სადგური, ხოლო 250 მეტრში (ს/კ: 01.11.04.029.067) შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავი. საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 95 მეტრში. საწარმოდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი (მდ. მტკვარი) დაშორებულია 520 მეტრით.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. მათ შორის, განხილულია უმოქმედობის, საწარმოს ადგილმდებარეობისა და ტექნოლოგიური ალტერნატივები. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, პროექტის საწყის ეტაპზე საწარმოს განსათავსებლად განიხილებოდა ორი ვარიანტი. პირველი - ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზირი N188 (ს/კ: 01.12.01.003.288) და მეორე ალტერნატიული ტერიტორია - ქალაქი თბილისი, რაფიელ აგლამის ქუჩა N45. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, უახლოეს მოსახლემდე დაშორების მანძილის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხების გათვალისწინებით, აღნიშნული ტერიტორიებიდან შერჩეული იქნა პირველი ვარიანტი. ტექნოლოგიური ალტერნატივებიდან წნეხილი პოლისტიროლის ფილების წარმოების დროს წარმოქმნილი ნარჩენის პოლისტიროლის (ნარჩენის კოდი: 12 01 05) შემდგომი მართვის მიზნით, განხილულ იქნა ორი ალტერნატივა: პირველი - წნეხილი პოლისტიროლის ფილების წარმოების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენის პოლისტიროლის შესაბამისი მართვის უფლების მქონე კომპანიისთვის გადაცემა, მეორე - საწარმოო ნარჩენის (ნარჩენი პოლისტიროლის) ხელახალი აღდგენა (გრანულეზაცია) და წნეხილი პოლისტიროლის ფილების წარმოების ტექნოლოგიურ ციკლში დაბრუნება. გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებით შერჩეულ იქნა მეორე ალტერნატივა. ტექნოლოგიური ალტერნატივებიდან, ნარჩენების აღდგენის საწარმოში წარმოებული პროდუქციის გაგრილების მიზნით ასევე განხილული იქნა ორი ალტერნატივა: პირველი - წყლის ავზის (ე.წ. წყლის „აბაზანის“) გამოყენება და მეორე - სპეციალური გამაგრილებელი აპარატის გამოყენება, რომელიც პროდუქციის გაგრილებასთან ერთად უზრუნველყოფს სასურველ ზომებამდე მის გრანულირებას/დაქუცმაცებას. საწარმოს ტექნოლოგიური ალტერნატივებიდან, გარემოსდაცვითი და თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა მეორე ალტერნატიულ ვარიანტს. ანგარიშის მიხედვით, უმოქმედობის ალტერნატივა უარყოფილ იქნა სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ფაქტორების გათვალისწინებით.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, პლასტიკური მასალისა და ნარჩენების აღდგენის საწარმო მოიცავს პოლისტიროლის ფილების დამამზადებელ და პოლისტიროლის ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიურ ხაზებს. პოლისტიროლის ფილების წარმოების ტექნოლოგიური ხაზი დღის განმავლობაში აწარმოებს 10 320 კგ, ხოლო წლის განმავლობაში (252 დღ x 10320 კგ) - 2 600 640 კგ პროდუქციას (წნეხილი პოლისტიროლის ფილა). ნარჩენი პოლისტიროლის აღდგენის ტექნოლოგიური ხაზის მაქსიმალური წარმადობა დღის განმავლობაში იქნება 2 400 კგ (პოლისტიროლის გრანულეზაცია), ხოლო წლის განმავლობაში (252 დღ x 2 400 კგ) წარმოებული პროდუქცია იქნება დაახლოებით 604 800 კგ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიურ ხაზზე პოლისტიროლის ფილების წარმოების შედეგად წარმოიქმნება ნარჩენი პოლისტიროლი (ნარჩენის კოდი: 12 01 05), მათ შორის წუნდებული პოლისტიროლის სახით. აღნიშნული საქმიანობა განისაზღვრება R3 აღდგენის ოპერაციის კოდით. პოლისტიროლის ფილების წარმოებისა და ნარჩენების აღდგენის

ტექნოლოგიური ხაზები იმუშავებს წელიწადში 252 დღე, 24 საათიანი სამუშაო რეჟიმით. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე დასაქმდება 10-15 ადამიანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პოლისტიროლის ფილების წარმოების ტექნოლოგიურ ხაზზე გამოყენებული ნედლეული იქნება: პოლისტიროლის გრანულები (GPPS - ნაწილი შემოტანილი და ნაწილი ადგილზე ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიურ ხაზზე გადამუშავებული), საღებავი, ტალკი (აღნიშნული ტიპის ნედლეულები შემოტანილი იქნება 25 კგ ტომრების სახით), ნახშირორჟანგი, თხევადი გაზი და ეთანოლი.

პოლისტიროლის ფილების წარმოების ტექნოლოგიურ ციკლში გამოიყენება: მასალის (პოლისტიროლის გრანულების) მიმღები რეზერვუარები (ორი - 1.5 ტ თითოეული, და 3 - თითოეული 100 კგ), ვაკუუმ ტუმბოები, ექსტრუდერის მიმღები ბუნკერები, მასალის დოზატორები, შემგროვებელი ბუნკერები, ექსტრუდერები (ერთი - ორშენკიანი, მეორე - ერთშენკიანი), ფილტრები, კალიბრატორი, მექანიკური დამუშავების დანადგარი, ე.წ საფრეზ-სადარავი აგრეგატი, ლენტური და როლიკებიანი კონვეიერები. ტექნოლოგიური ხაზის შემადგენელი ძირითადი ერთეულები/ელემენტებია: ნახშირორჟანგის მიწისზედა რეზერვუარი (20 მ³), თხევადი გაზის სამი მიწისქვეშა რეზერვუარი (მეთილპროპანი (იზობუტანი) 9 მ³ მოცულობის ორი რეზერვუარი და დიმეთილპროპანი (პენტანი) 9 მ³ მოცულობის 1 რეზერვუარი, ეთანოლის მიწისზედა რეზერვუარი (16 მ³) და წყლის გამაციებელი/გამაგრილებელი (დახურული ციკლის) სისტემა. თხევადი გაზის რეზერვუარები განთავსებულია მიწისქვეშა სარკოფაგში, ხოლო ეთანოლის რეზერვუარი მოწყობილია 1 მ სიმაღლის და 150 მმ სისქის რკინა-ბეტონის შემოზვინვის შიგნით, ამასთან საწარმოო შენობის მხარეს (საწარმოო შენობაში შესასვლელ კარებსა და რეზერვუარს შორის) მოწყობილია დამატებითი დამცავი (რკინა-ბეტონის) 2.5 მ სიმაღლისა და 200 მმ სისქის კედელი. საპროექტო ტერიტორიაზე ასევე, გათვალისწინებულია იზობუტანისა და ეთანოლისათვის ავარიული ამომრთველები, მეხამრიდები (ე.წ აქტიური მეხამრიდი), რომლებიც დამონტაჟდება შესაბამის საყრდენებზე.

წინეხილი პოლისტიროლის ფილების წარმოება წარმოადგენს უნარჩენო წარმოებას, რაც გულისხმობს ტექნოლოგიურ პროცესში წარმოქმნილი ნარჩენი პოლისტიროლის გადამუშავებას და კვლავ პლასტიკური მასალის ტექნოლოგიურ ციკლში მიწოდებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნარჩენი პოლისტიროლის აღდგენის ტექნოლოგიურ ციკლში გამოიყენება შემდეგი დანადგარები: ნარჩენი პოლისტიროლის შემგროვებელი საცავი/შემკრები ბუნკერი (200 მ³ მოცულობის), დანებიანი მსხვრევანა (შრედერი), ექსტრუდერი, გრანულატორი და წყლის გამაგრილებელი აპარატი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე შემოსული ნედლეული დასაწყობდება მასალებისთვის განკუთვნილ ადგილას შენობის შიდა სივრცეში, ხოლო ნახშირორჟანგი, თხევადი გაზი და ეთანოლი შენობის გარეთ, შესაბამის რეზერვუარებში. ანგარიშის თანახმად, ნედლეული ჩაიყრება მიმღებ ავზებში და ვაკუუმ ტუმბოების მეშვეობით გადავა ექსტრუდერის (N1, N2) ბუნკერებში, საიდანაც დოზატორის და სასწორის გავლის შემდგომ მოხდება შემგროვებელ ბუნკერში. შემგროვებელი ბუნკერიდან მიწოდება მოხდება პირველ ორშენკიან ექსტრუდერში, სადაც განხორციელდება ასევე, ნახშირორჟანგის, თხევადი გაზის და ეთანოლის განსაზღვრული რაოდენობების მიწოდება. ერთმანეთთან შერევის შემდგომ ნედლეული ფილტრის გავლით გადავა N2 ერთშენკიან ექსტრუდერში, რის შემდეგაც მიღებული მასა გადაინაცვლებს კალიბრატორში. მიღებული პროდუქტი კალიბრატორიდან - ტრანსპორტიორის მეშვეობით გადაადგილდება მექანიკური დამუშავების უბანზე, რის შემდეგაც დამუშავებული პროდუქტი ავტომატური ხაზის მეშვეობით დალაგდება შესაფუთ

დანადგარში (შეფუთვაში დალაგების ოდენობა/ცალობა განისაზღვრება პროდუქციის სისქის მიხედვით), შეფუთული პროდუქცია კონვეიერის საშუალებით გადავა საწყობში, სადაც განხორციელდება შეფუთული პროდუქციის დასაწყობება და შემდგომი რეალიზაციისათვის გამზადება. აღნიშნული პროცედურის შემდეგ, ჩამომტანი კონვეიერის მეშვეობით განხორციელდება დასაწყობებული პროდუქციის მიწოდება სარეალიზაციოდ ავტომატურად.

გზის ანგარიშის მიხედვით, ნარჩენი/წუნდებული პოლისტიროლი (გამოშრობის მიზნით) დამტვირთველის საშუალებით დროებით (24-36 სთ) განთავსდება საწარმო ეზოში მოსაწყობ გადახურულ სასაწყობე ტერიტორიაზე, საიდანაც გამოშრობის შემდგომ მიეწოდება დამქუცმაცებელს/შრედერს (მაქსიმალური წარმადობით-100კგ/სთ). შრედერში დამუშავების შემდგომ მოხდება ნარჩენი პოლისტიროლის მიწოდება შემგროვებელ ბუნკერში, საიდანაც ნარჩენი პოლისტიროლი მიეწოდება ექსტრუდერს (გაცხელება, გადნობა). ექსტრუდერიდან ნედლეული გამოვა ცხელი ძაფების სახით, რომლის დაქუცმაცება და გაგრილება ხდება სპეციალური დამქუცმაცებელ-გამაგრილებელი აპარატით. გაგრილება-დაქუცმაცების შემდგომ მიღებული პროდუქცია (გრანულები) განთავსდება ტომრებში. ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიურ ხაზზე წარმოებული პოლისტიროლის გრანულების გამოყენება დაგეგმილია მხოლოდ არსებულ (პოლისტიროლის ფილების) საწარმოში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე ასევე, მოწყობილია წებო-ცემენტის საამქრო, რომლის წლიური წარმადობა შეადგენს 21 600 ტონას. წებო-ცემენტის წარმოებისთვის გამოიყენება: 15 000 ტ/წელ ქვიშა, 6700 ტ/წელ ცემენტი, 180 ტ/წელ დანამატი. საამქრო წელიწადში გამოიყენებს 220 000 მ³ მოცულობის ბუნებრივ აირს. საწარმო იმუშავებს 325 სამუშაო დღე, 8 საათიანი სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით.

წებო-ცემენტის საწარმოს ტექნოლოგიური ციკლის მიხედვით, საწარმოში თვითმცლელით შემოდის ქვიშა და იყრება საწარმოს ეზოში (გადახურულ სივრცეში) დაახლოებით 200 მ² ფართობზე, საიდანაც დამტვირთველის საშუალებით ხდება მისი ბუნკერში გადატანა, საიდანაც დახურული ლენტური ტრანსპორტორით გადადის საშრობ დოლურაში. გამშრალი ქვიშა გაივლის დახურულ საცერს, საიდანაც სხვადასხვა ზომის ფრაქციებად გამოსული მასალა იყრება 4 დახურულ ბუნკერში, საიდანაც წარმოებაში გადადის მხოლოდ წვრილი ფრაქცია (ერთი ბუნკერიდან), ხოლო დანარჩენი სამიდან ავტოკარით გამოიზიდება და იყრება რკინის ყუთებში. წებო-ცემენტისთვის განკუთვნილი ქვიშა ჰერმეტიულად იტვირთება სილოსში, იქიდან კი ისევ ჰერმეტიულად გადადის დოზატორში. ცემენტი ცემენტშიდით შემოდის და მილის საშუალებით იტვირთება ცემენტისთვის განკუთვნილ სილოსში, საიდანაც გადადის დოზატორში. დოზატორში ხდება ქვიშისა და ცემენტის შერევა, აღნიშნული ნარევი დოზატორიდან ჰერმეტიულად გადადის შემრევი, სადაც ემატება დანამატები (ხელით) და ხდება კაზმის მომზადება. საბოლოო პროდუქტი, ჰერმეტიულად გადადის გამომშვებ დანადგარში, ხოლო დანადგარიდან ავტომატურად იფუთება 25 კგ-იან ქაღალდის ტომრებში.

ანგარიშის თანახმად, ქვიშის გაშრობა ხდება ბუნებრივი აირით. საშრობიდან წარმოქმნილი აირმტვერნარევის ნაკადი იფილტრება ქსოვილიანი ფილტრის მეშვეობით, რომელთა ეფექტურობა შეადგენს 99,9%-ს. აირმტვერნარევი გაიწოვება გამწოვი მილით (15 მ სიმაღლე, 500 მმ დიამეტრი). საბოლოო პროდუქტის გამომშვები დანადგარი აღჭურვილია 99,9%-იანი ეფექტურობის ქსოვილიანი ფილტრით. საწარმოში განთავსებულია ოთხი სილოსი, საიდანაც სამი ცალი 90 ტონიანი გამოიყენება ქვიშისთვის და ერთი ცალი 110 ტონიანი ცემენტისთვის.

პოლისტიროლის ფილების წარმოების ტექნოლოგიურ ხაზზე მყარი ტიპის ნედლეული შესაბამისი მომწოდებელი კომპანიების მიერ საწარმოში შემოტანილი იქნება 25 კგ ტომრების სახით და დასაწყობდება

საწარმოს შიდა სივრცეში, ხოლო თხევადი და აირადი ნედლეული, შესაბამისი მომწოდებელი კომპანიებიდან, შემოტანილი იქნება ავტო-ცისტერნების მეშვეობით. სატრანსპორტო ოპერაციები განხორციელდება დღის საათებში. სატრანსპორტო ოპერაციები განხორციელდება დახურული ტიპის სატრანსპორტო საშუალებით. საწარმომდე მისვლა შესაძლებელი იქნება ქ. თბილისის შიდა მუნიციპალური გზების გავლით. საწარმოსთან მისასვლელად შესაძლოა გამოყენებულ იქნას თენგიზ შემელიძის ქუჩა და დავით გურამიშვილის გამზირი.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე წყლის გამოყენება განხორციელდება საწარმოო, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და სახანძრო მიზნებისთვის. წყლის მომარაგება გათვალისწინებულია ქალაქის წყალმომარაგების ქსელიდან შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. საწარმოო მიზნებისათვის წყლის გამოყენება გათვალისწინებულია პოლისტიროლის წარმოების ტექნოლოგიურ ხაზის გაგრილების (ბრუნვით) სისტემაში. გაგრილების სისტემა არის ჩაკეტილი ციკლი და ხორციელდება წყლის ცირკულაცია, შედეგად განსახილველ ობიექტზე საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ აქვს. ანგარიშის თანახმად, წლის განმავლობაში, ჯამურად, როგორც სამეურნეო-საყოფაცხოვრებო, ისე საწარმოო და სახანძრო მიზნებისთვის გათვალისწინებულია დაახლოებით 4000 მ³ წყლის მოხმარება. საპროექტო ტერიტორიაზე წარმოიქმნება სამეურნეო-ფეკალური და საწარმოო-სანიაღვრე ჩამდინარე წყლები. სამეურნეო-ფეკალური წყლები ჩაედინება ქალაქის საკანალიზაციო ქსელში, ხოლო სანიაღვრე-ჩამდინარე წყლებისთვის მოწყობილია სანიაღვრე ქსელი, რომელიც დაკავშირებულია ქალაქის სანიაღვრე სისტემასთან.

გზმ-ის ანგარიშსა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში ასახულია საწარმოს ფუნქციონირებით გამოწვეული ზეგავლენა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მისი უმთავრესი ასპექტების გათვალისწინებით, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ადგილი აქვს საწარმოს უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში. საწარმოს ექსპლუატაციისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი მავნე ნივთიერებები: ეთანოლი, აზოტის დიოქსიდი, ნახშირბადის ოქსიდი, დიმეთილპროპანი (პენტანი), მეთილპროპანი (იზობუტანი), სტიროლი (ვინილბენზოლი), მტვერი (მყარი ნაწილაკები), არაორგანული (ცემენტის) მტვერი. მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის თანახმად, რომელშიც გათვალისწინებულია ფონური მაჩვენებლები კანონმდებლობის შესაბამისად, არცერთი ზემოაღნიშნული მავნე ნივთიერების კონცენტრაცია არ აჭარბებს მოქმედი ნორმებით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ მაჩვენებლებს ობიექტიდან უახლოეს მოსახლესთან (95 მ) და არც 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე. შესაბამისად, გაფრქვევის მიღებული მაჩვენებლები შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს ზღვრულად დასაშვებად.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებული იქნება ტექნოლოგიური ხაზის ოპერირებასთან, რომელიც განთავსებულია დახურულ შენობა-ნაგებობაში. გაანგარიშების მიხედვით, წნეხილი პოლისტიროლის ფილების ტექნოლოგიური ხაზისა და ნარჩენი პოლისტიროლის აღდგენის ტექნოლოგიური ხაზის ფუნქციონირების შედეგად საწარმოო უბანზე წარმოქმნილი ხმაურის მაქსიმალური ჯამური დონე შეადგენს 92.5 დბა-ს, ხოლო წებო-ცემენტის საწარმოს ფუნქციონირებისას წარმოქმნილი ხმაურის დონე არ აღემატება 70 დბა-ს. ხმაურის გავრცელებით გამოწვეული შესაძლო ზემოქმედების დადგენის მიზნით, შესაბამისი პროგრამის საშუალებით განხორციელდა მოსალოდნელი ხმაურის დონის მოდელირება. ხმაურის მაქსიმალურ დონედ აღებული იქნა 93 დბა, ხოლო ხმაურის შესაძლო

ზემოქმედების წყაროდ - საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები. მოდელირება განხორციელდა ასევე, უარესი სცენარის პირობებისთვის, სადაც გათვალისწინებული არ ყოფილა ხმაურის წარმომქმნელ და მიმღებ წყაროებს შორის არსებული ბარიერები. ჩატარებული მოდელირებით, სადაც გათვალისწინებული იქნა ყველა ხმაურწარმომქმნელი წყაროების ერთდროულად ფუნქციონირება, დადგინდა რომ უახლოეს მოსახლესთან (95 მ) მოსალოდნელი ხმაურის დონე (40 დბა) არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. ამასთან, საწარმოს მიმდებარედ წარმოდგენილია ხელოვნური ბარიერები, მათ შორის შენობა-ნაგებობები, ხე-მცენარეები, რაც კიდევ უფრო შეამცირებს ხმაურით გამოწვეულ ზემოქმედებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ობიექტზე წარმოიქმნება სახიფათო და არასახიფათო ნარჩენები. სახიფათო ნარჩენების სათანადო მართვის მიზნით მოეწყობა სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის დახურული ტიპის ობიექტი (GPS კოორდინატები: X-482978; Y-4625688), საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №145 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. საწარმოო ტერიტორიაზე, ასევე განთავსებული იქნება საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებელი შესაბამისი კონტეინერები, რომლებიც პერიოდულად განიტვირთება შესაბამისი მუნიციპალური სამსახურის მიერ, გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის. გრუნტის წყლების დაბინძურების რისკები შეიძლება დაკავშირებული იყოს ნედლეულის/საწვავის ან ზეთების დაღვრასთან. იქიდან გამომდინარე, რომ საწარმოო პროცესი მიმდინარეობს დახურულ შენობა-ნაგებობაში და ხოლო შენობა-ნაგებობის გარე სივრცე მთლიანად მოპირკეთებულია ბეტონის საფარით მიწისქვეშა წყლების დაბინძურებას ადგილი არ ექნება.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის მქონე ტერიტორიაზე. საქმიანობის განხორციელების არეალი არ ექცევა ბიომრავალფეროვნების კუთხით სენსიტიური უბნის ფარგლებში ან მის სიახლოვეს.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ობიექტის მიმდებარედ არ ფუნქციონირებს მსგავსი ტიპის საწარმოო ობიექტი, შესაბამისად კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა ნამალადევის რაიონის გამგეობაში და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე, გამოქვეყნდა გაზეთში. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2024 წლის 13 სექტემბერს, ნამალადევის რაიონის გამგეობის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, საკონსულტაციო კომპანია - შპს „გარემოსდაცვითი მომსახურების კომპანიის“, საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის „ნოვა ფიქსის“ და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. საჯარო განხილვაზე პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოთქმულა. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი, ავარიული სიტუაციების რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზშ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლისა და ამავე კოდექსის მეორე დანართის მე-10 პუნქტის, 10.3 ქვეპუნქტის, მე-6 პუნქტის, 6.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თბილისის მუნიციპალიტეტში, შპს „ნოვა ფიქსის“ პლასტიკური მასალისა და ნარჩენების აღდგენის საწარმოს ექსპლუატაციაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „ნოვა ფიქსმა“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის და დამატებითი დოკუმენტაციის, წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
4. შპს „ნოვა ფიქსმა“ ექსპლუატაციის დაწყებამდე დიმეთილეთერის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის (MSDS) გათვალისწინებით უზრუნველყოს დამატებითი დასაბუთების სააგენტოში წარმოდგენა დიმეთილპროპანის (პენტანი) საწარმოში გამოყენების შესახებ (ქიმიური ნივთიერების უსაფრთხოების სათანადო პასპორტთან (MSDS) ერთად). დასაბუთების წარმოდგენლობის შემთხვევაში უზრუნველყოს შესაბამისად გადამუშავებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა;
5. შპს „ნოვა ფიქსმა“ უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის განხორციელება მონიტორინგის გეგმის და საქართველოს მთავრობის 2013 წლის №413 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად;
6. შპს „ნოვა ფიქსმა“ ექსპლუატაციის დაწყებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად, ხოლო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განახორციელოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;

7. შპს „ნოვა ფიქსმა“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ტექნოლოგიურ ციკლში ჩართული დანადგარების მუდმივი მონიტორინგი;
8. შპს „ნოვა ფიქსმა“ ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
9. შპს „ნოვა ფიქსმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
10. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ნოვა ფიქსს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
11. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნოვა ფიქსის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
12. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და ნაძალადევის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე;
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/746-21-4-202412271309>

